

მდინარე აჭარისწყლის წყალსამეურნეო გამოყენება

ანა პანაიოდი

ელ. ფოსტა: ana.panaiodi259@ens.tsu.edu.ge

*გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, 0179, თბილისი, საქართველო*

წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის საკითხი საქართველოსათვის მნიშვნელოვანია. ბუნებაში წყალი არ ყოფილიყო, სიცოცხლეს არ იქნებოდა. ადამიანის ცხოვრება წყალთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. საქართველოში უხვი ატმოსფერული ნალექების მოსვლა, მაღალმთიან ზონაში მყინვარებისა და მარადი თოვლის არსებობა განაპირობებს ჩვენი ქვეყნის მდინარეების უხვწყლიანობას, ტბებისა და ქვაბულების დიდი რაოდენობა ხელს უწყობს მდინარეთა წყლიანობის რეგულირებას. მაღალი წყალგამყოფი ქედების შავი და კასპიის ზღვასთან სიახლოვე მდინარეებს ანიჭებს დიდ ვარდნასა და დახრილობას, რაც უხვწყლიანობასთან ერთად ხელსაყრელ პირობებს ქმნის ჰიდროენერჯის მისაღებად.

ნაშრომში განხილულია აჭარის შავი ზღვისპირა მდინარეთა აუზების ბუნებრივი პირობები და წყლის რესურსების ოპტიმალური განაწილების და მართვის მიზნით განხილულია მდინარე აჭარისწყლის ჩამონადენი და მისი წყალსამეურნეო გამოყენება.